სახელმწიფო მხარდაჭერის როლი ბიზნესის განვითარებაში

გოდერძი შანიძე
ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის დაწყებისა და განვითარებისთვის აუცილებელია მიმზიდველი, სრულყოფილი საგადასახადო სისტემა, საგადასახადო სისტემის ფორმირება და განახლება მუდმივად უნდა ხდებოდეს და შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო საგადასახადო პრაქტიკასთან, უნდა იყოს დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ა.შ. სახელმწიფო ბიზნესის მხარდასაჭერად სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავს, მათ შორის საგადასახადო შეღავათებს. სახელმწიფოს საგრანტო პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“ დიდი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ახალი ბიზნესების განვითარების მიმართულებით, გაფართოვდა არსებული ბიზნესები და დასაქმდა ადგილობრივი მუშახელი. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის 2023 წლის რაუნდის საგრანტო პროგრამას 1 176 გამარჯვებული ჰყავს. 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 8 ათასზე მეტი პროექტი დაფინანსდა, ინვესტიციების რაოდენობა 116 მილიონს აჭარბებს, დასაქმებულთა რაოდენობა კი 21 000-ს სცდება. მთელი რიგი ბიზნეს მიმართულების განვითარებისათვის, აუცილებელია ექსპორტის სტიმულირება და ახალი ბაზრების მოძიება. მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება შესაბამისი დოზით სააგენტოს საქმიანობის, ფუნქციების შესახებ, მოსახლეობის ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ქვეყნის საგრანტო პროგრამების შესახებ, რაც მთავარია, აუცილებელია, რომ სააგენტოს საქმიანობა, დაფინანსების პროცესები იყოს კიდევ უფრო გამჭვირვალე, ვინაიდან, როგორც კვლევამ აჩვენა მეწარმე სუბიექტებში დიდია უნდობლობა სააგენტოს მიმართ, რადგან ფიქრობენ, რომ რიგ შემთხვევებში არასტაბილური, არარეალური ბიზნეს იდეების დაფინანსება ხდება და ამის ხარჯზე ზარალდება რეალური მეწარმე და რეალური ბიზნეს იდეა. ამ ყველაფრის რეგულირება კი ისევ სახელმწიფოს აუცილებელი საქმიანობაა. კვლევის შედეგად ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ყველაზე მეტად პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის გზები/რეკომენდაციები:

1. მეწარმეების სათანადო ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
2. პროექტის ფინანსური ნაწილის აუდიტი და ოპტიმიზაცია;
3. ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების გამჭირვალობის დონის ამაღლება;
4. ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების მიმართ ნდობის ამაღლება;

საქართველოს მთავრობა ქვეყნის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას და ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენისას, განსაკუთრებულ და პრიორიტეტულ

მნიშვნელობას ანიჭებს და მიზნად ისახავს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, დახვეწას, მაქსიმალურად დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან, რაც გამოიწვევს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი; საგადასახადო შეღავათები; სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები; ინვესტიციები; რეგისტრირებული საწარმოები

JEL: H25; M21

DOI: 10.52244/c.2024.11.33

შესავალი

ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფო მხარდაჭერის როლი, საკმაოდ აქტუალური საკითხია თანამედროვე პირობებში. ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროა გადასახადები, რომელსაც იხდის კერძო მოსახლეობა და ბიზნესი სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები აუცილებელია ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად, სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების მხარდაჭერის/შეღავათის დაწესების მექანიზმებს ბიზნესისთვის წამახალისებელი, მამოტივირებელი ფუნქცია აქვს.

რაც უფრო ნაკლებად დაისტრესება ბიზნეს სუბიექტი გადასახადის სიმძიმის გამო, მით მეტი მოგების გამომუშავებას შეძლებს და მით მეტ სარგებელს ნახავს სახელმწიფო.

ბიზნეს საქმიანობის დაწყებისა და განვითარებისთვის აუცილებელია მიმზიდველი, სრულყოფილი საგადასახადო სისტემა, საგადასახადო სისტემის ფორმირება და განახლება მუდმივად უნდა ხდებოდეს და შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო საგადასახადო პრაქტიკასთან, უნდა იყოს დაახლოვებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან არაპირდაპირი გადასახადების ნაწილში, როგორიცაა: დღგ, აქციზი, ასევე საბაჟო კანონმდებლობა.

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფო ბიზნესის მხარდასაჭერად სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავს, მათ შორის საგადასახადო შეღავათებს. დღესდღეობით საქართველოში მიკრო, მცირე მეწარმეებზე შემდეგი საგადასახადო შეღავათები არსებობს: მიკრო ბიზნესის სტატუსი მიენიჭება ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ბრუნვა (ჯამური ერთობლივი შემოსავალი) არ აღემატება 30 000 ლარს, ასეთი პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

2018 წლის 1 ივლისიდან მცირე ბიზნესის წახალისების მიზნით შეიცვალა დაბეგვრის წესი, რაც 120 000 მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხო, ცვლილების შედეგად მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ჯამური შემოსავალი შეადგენს 500 000 ლარს ნაცვლად 100 000 ლარისა და იბეგრება შემოსავლის 1%-ით თვიურად, ნაცვლად მანამდე არსებული 5%-სა.

ქართველი მეწარმეები და კომპანიები უკვე წლებია მუშაობენ მოგების ესტონურ მოდელზე, რაც გულისხმობს, რომ თავისუფალნი არიან მოგების გადასახადისგან, ოღონდ

ამ შემთხვევაში წლის განმავლობაში ბიზნესის აკუმულირებული მოგების დაბანდება ისევ ბიზნესში უნდა მოხდეს.

2022 წლის დეკემბერში მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უკვე არსებული საგადასახადო შეღავათების კიდევ 3 წლით გადავადების შესახებ, აქ იგულისხმება: 3 წლის ვადით, 01/01/2026 წლამდე გაგრძელდება საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ისარგებლებენ შეღავათებით მოგების და ქონების გადასახადში, კიდევ 3 წლით მოხდება არარეზიდენტი ფიზიკური პირების გათავისუფლება საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან სასესხო ფასიანი ქაღალდიდან %-ის სახით მიღებულ შემოსავალზე, იქნება შეღავათი თამბაქოს ნედლეულის იმპორტის გადასახადზე და ა.შ. ვფიქრობ რომ ქვეყანაში არსებული საგადასახადო შეღავათების სისტემა და ახალი დამხმარე მექანიზმების შემუშავება მიკრო და მცირე ბიზნესზე, ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი და ახალი ბიზნესის ამოქმედებას და განვითარებას საქართველოში, სწორედაც, რომ ამაში ყველაზე დიდი როლი სახელმწიფო პოლიტიკას აკისრია. მთავრობა კი მიიღებს ბენეფიტებს კიდევ უფრო მეტი დასაქმებული ადამიანის სახით, მეტი შემოსავლით გადასახადის სახით, გაუმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და გაიზრდება მშპ, აიწევს ქვეყნის, როგორც ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოს ადგილი მსოფლიოს რეიტინგში, რაც მთავარია, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვება კიდევ უფრო მყარ ნაბიჯებს შექმნის ევროკავშირში გასაწევრიანებლად, რაც არის საქართველოს და ქართველი ხალხის ყველაზე დიდი სურვილი და მიზანი ბოლო წლებისა.

საგადასახადო შეღავათების თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდპანდემიის დროს და პანდემიის შემდგომ პერიოდში, რადგან პანდემიამ ბევრი მიკრო და მცირე ბიზნესი და მეწარმე დააზარალა ფინანსურად, შედეგად ბევრმა კომპანიამ შეამცირა შტატი და დაითხოვა თანამშრომელთა ნაწილი სამსახურიდან, ამან ხელი შეუწყო უმუშევრობის ზრდას, კომპანიების ნაწილმა საერთოდ შეაჩერა ფუნქციონირება იმდროინდელი კოვიდრეგულაციების პირობების გამო და ა.შ.

2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი/აქტიური სუბიექტის მონაცემები შემდეგნაირია:

ცხრილი 1

ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტის მონაცემები საქართველოში 01/01/2023წ. მდგომარეობით.

საქმიანობის სახე	რეგისტრირებული სუბიექტი	აქტიური სუბიექტი
სულ	**933116**	**243824**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	8231	3036

სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1951	791
დამამუშავებელი მრეწველობა	41082	17276
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	332	177
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	820	243
მშენებლობა	28574	15054
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	185914	83064
ტრანსპორტი და დასაწყობება	29618	16439
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	22663	9004
ინფორმაცია და კომუნიკაცია	10838	6401
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	4813	1493
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	10487	6429
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	17749	8517
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	10901	5288
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა	1222	271
განათლება	8580	5061
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	6320	3303
ხელოვნება, გართობა და დასვენება	4828	1897
სხვა სახის მომსახურება	19395	5630
ექსტრატერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	77	6
საქმიანობა უცნობია	518721	54444

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka /

სახელმწიფოს საგრანტო პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“ დიდი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ახალი ბიზნესების განვითარების მიმართულებით, გაფართოვდა არსებული ბიზნესები და დასაქმდა ადგილობრივი მუშახელი.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალის“ ფარგლებში, სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით 2015-2024 წლებში 2864 ჰა-ზე ლურჯი მოცვი გაშენდა. სახელმწიფო თანადაფინანსებამ 50,4 მილიონი ლარი შეადგინა. 2024 წლის 1 მაისიდან 7 ივლისის ჩათვლით განხორციელდა 4.3 ათასი ტონა მოცვის ექსპორტი, რომლის ღირებულებამ 25.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული მოცვის მოცულობა 1.7 ათასი ტონით (68%-ით), ხოლო ღირებულება - 9.9 მლნ აშშ დოლარით (63%-ით) გაიზარდა. *(https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/ უცხოელ შემსყიდველებთან დაკავშირების პროგრამის შედეგად ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში ლურჯი მოცვის ფართომასშტაბიანი ექსპორტი განხორციელდა 5.07.2024).*

2023 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში სულ შევიდა 13 239 განაცხადი, საიდანაც 50.4% არის მამრობითი სქესის ადამიანის მიერ დაფიქსირებული განაცხადი, 49.6% კი მდედრობითი სქესის მიერ დაფიქსირებული განაცხადი. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ ბოლო პერიოდში ქალბატონები გააქტიურდნენ ბიზნეს საქმიანობის დაწყების სურვილის მიმართულებით.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის 2023 წლის რაუნდის საგრანტო პროგრამას 1 176 გამარჯვებული ჰყავს. 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 8 ათასზე მეტი პროექტი დაფინანსდა, ინვესტიციების რაოდენობა 116 მილიონს აჭარბებს, დასაქმებულთა რაოდენობა კი 21 000-ს სცდება. *აწარმოე საქართველოში*

ჩემს მიერ ჩატარდა კვლევა საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობით, სადაც გამოიკითხა 255 სხვადასხვა პროფილის ადამიანი, გამოკითხვა ემსახურებოდა იმას, თუ რამდენად იყო ინფორმირებული მოსახლეობა საქართველოში ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების არსებობის შესახებ.

მიღებული შედეგები ავსახე გრაფიკულად, რომელიც შემდეგი სახისაა:

1. კითხვაზე გაქვთ თუ არა შეხება საკუთარ ბიზნეს საქმიანობასთან?: პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად.

დიაგრამა 1



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2024 წ.

2. გსმენიათ თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების არსებობის შესახებ?:

დიაგრამა 2



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2024 წ.

3. გსმენიათ თუ არა სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და მისი საქმიანობის შესახებ?

დიაგრამა 3



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2024 წ.

4. თქვენი აზრით რამდენად მარტივია აწარმოე საქართველოს პროექტში მონაწილეობისა და დაფინანსების მიღება?

დიაგრამა 4



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2024 წ.

5. თქვენი აზრით არის თუ არა საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, ბიზნესის განვითარებისთვის

დიაგრამა 5



წყარო: საკუთარი კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები 2024 წ.

მთელი რიგი ბიზნეს მიმართულების განვითარებისათვის აუცილებელია ექსპორტის სტიმულირება და ახალი ბაზრების მოძიება.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ ხდება ბენეფიციარების მონიტორინგი ხელშეკრულების შესაბამისად, თუმცა სახელმწიფო აუდიტის ბოლო დასკვნის მიხედვით ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კონტროლის სრულყოფილი მონაცემები, არსებობს

მაღალი რისკი, რომ ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ვერ აღმოაჩინოს ორგანიზაციამ და შესაბამისად ვერ შეძლოს დარღვევაზე დროული რეაგირება, ამის შედეგად კი იზრდება პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხის არამიზნობრივად განკარგვის რისკი.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხდებოდეს შესაბამისი დონის მონიტორინგი ასეთ საგრანტო პროგრამებზე, რათა არ მოხდეს არამიზნობრივი გახარჯვა დაფინანსების შედეგად მიღებული გრანტების, რაც გამოიწვევს სახელმწიფოს ზარალსაც, რადგან არ გაიზრდება მეწარმეების, ბიზნესის რაოდენობა, არ დასაქმდება მეტი ადამიანი, არ გაიზრდება სახელმწიფოს შემოსავალი და ასევე დაიჩაგრებიან ის ბიზნეს სუბიექტები, რომელთაც რეალურად უნდოდათ და სურდათ ბიზნესის კეთება და ბოლომდე ვერ დააკმაყოფილეს სააგენტოს კრიტერიუმები.

მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება შესაბამისი დოზით სააგენტოს საქმიანობის, ფუნქციების შესახებ, ვინაიდან კვლევამ აჩვენა, რომ ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ქვეყნის საგრანტო პროგრამების შესახებ, რაც მთავარია, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს საქმიანობა, დაფინანსების პროცესები იყოს კიდევ უფრო გამჭვირვალე, ვინაიდან, როგორც კვლევამ აჩვენა მეწარმე სუბიექტებში დიდია უნდობლობა სააგენტოს მიმართ, რადგან ფიქრობენ, რომ რიგ შემთხვევებში არასტაბილური, არარეალური ბიზნეს იდეების დაფინანსება ხდება და ამის ხარჯზე ზარალდება რეალური მეწარმე და რეალური ბიზნეს იდეა. ამ ყველაფრის რეგულირება კი ისევ სახელმწიფოს აუცილებელი საქმიანობაა.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი მოხდება პროექტის ფარგლებში არ დაფინანსებული მეწარმეების ინფორმირება დეტალურად თუ რატომ არ დაფინანსდა მათი ბიზნეს გეგმა, რა ხარვეზი გამოიკვეთა, მხოლოდ მიზეზი, რომ გეგმა „არარეალურია“ არ არის მეწარმესთვის დამაკმაყოფილებელი და გასათვალისწინებელი ფაქტორი, ამასთანავე არის არაკორექტული, ამიტომაც უმჯობესია, მათთან მოხდეს უფრო დეტალური კომუნიკაცია, რათა მიეცეთ საშუალება მომდევნო განაცხადების წარდგენისას სრულყოფილი განაცხადით დარეგისტრირდნენ და მოიპოვონ გრანტი.

კვლევის შედეგად ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ყველაზე მეტად პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის გზები/რეკომენდაციები:

1. მეწარმეების სათანადო ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
2. პროექტის ფინანსური ნაწილის აუდიტი და ოპტიმიზაცია;
3. ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების გამჭირვალობის დონის ამაღლება;
4. ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების მიმართ ნდობის ამაღლება;

ქვეყანაში არსებული ზოგადი ბიზნეს სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, გამოწვევები ისევ მრავალია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის კუთხით ქვეყანაში, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში მსოფლიოს მასშტაბით.

დღეს საქართველოში არსებული და მოქმედი საწარმოების დიდი წილი მოდის მცირე და საშუალო საწარმოებზე, მაგრამ მათი წვლილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში დაბალია.
საქართველოს მთავრობა ქვეყნის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას და ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენისას განსაკუთრებულ და პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიზნად ისახავს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, დახვეწას, მაქსიმალურად დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან, რაც გამოიწვევს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. https://www.economy.ge/

აწარმოე საქართველოში. https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98

აწარმოე საქართველოში https://www.businessinsider.ge/ka/atsarmoe-sakartveloshi-mikro-da-mtsire-metsarmeobis-khelshetsqobis-sagranto-programis-gamarjvebulebi-gamovlindnen

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka /

The Role of State Support in Business Development

Goderdzi Shanidze
Doctor of Business and Management, Associate Professor, Kutaisi University, Akaki Tsereteli State University

Abstract
In order to start and develop business activities in the country, it is necessary to have an attractive, perfect tax system, the formation and renewal of the tax system must be done continuously and must be in accordance with international tax practice, must be close to the legislation of the European Union, etc. The state applies various measures to support business, including tax incentives. The state's grant program "Produce in Georgia" made a great contribution to the development of new businesses in the country, existing businesses were expended and local workforce was employed. The "Produce in Georgia" micro and small entrepreneurship grant program of the 2023 round has 1,176 winners. From 2015 to 2022, within the framework of the micro and small entrepreneurship promotion grant program, more than 8 thousand projects were financed, the amount of investments exceeds 116 million, and the number of employees exceeds 21,000. For the development of a number of business areas, it is necessary to stimulate exports and find new markets. It is important to inform the public about the agency's activities and functions in an appropriate dose, part of the population does not have information about the country's grant programs, most importantly, it is necessary that the agency's activities and financing processes must be even more transparent, since, as research has shown, there is a lot of mistrust of the agency among entrepreneurial subjects, because they think that in some cases, unstable, unrealistic business ideas are financed, and at the expense of this, the real entrepreneur and business idea suffers. Regulation of all this is still a necessary activity of the state.
As a result of the research, we can identify the most problematic issues of state programs supporting business development and ways/recommendations to solve them:

1. Raising the level of proper awareness of entrepreneurs;
2. Audit and optimization of the financial part of the project;
3. Raising the transparency level of state programs promoting business development;
4. Increasing confidence in state programs supporting business development;

The Government of Georgia, while developing the country's strategic plan and drawing up the economic development program, gives special and advantageous importance and aims to improve the business environment, to bring it as close as possible to European standards, which will lead to the growth and development of small and medium-sized enterprises.

Keywords: small business; tax incentives; state support programs; investments; registered enterprises;

JEL: H25; M21

DOI: 10.52244/c.2024.11.33

References

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. https://www.economy.ge/
Produce in Georgia. 2023 (Georgian) URL:
https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%93%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98

Produce in Georgia https://www.businessinsider.ge/ka/atsarmoe-sakartveloshi-mikro-da-mtsire-metsarmeobis-khelshetsqobis-sagranto-programis-gamarjvebulebi-gamovlindnen 2023 (Georgian)

National Statistical Service of Georgia. https://www.geostat.ge/ka / 2023 (Georgian)